<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კობა აბზიანიძის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის სოსო ღვინიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, კობა აბზიანიძის ქუჩას მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის სოსო ღვინიაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=493613 Y=4616119
X=493732 Y=4616109
X=493968 Y=4616090
სოსო ღვინიაშვილის ქ.
1:3,000

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011704276533420

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 397683 **20 / ოქტომბერი / 2020 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

ასლი: მცხეთა-თბილისის ეპარქიის წმინდა ნინოს
სახელობის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ
მელიქისედეკ (მევლუდი) ხვედელიძეს

მოგახსენებთ, რომ 2020 წლის 9 ოქტომბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა №M20010090 და №M20010091 განცხადებები, რომლითაც მოთხოვნილ იქნა წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის ტერიტორიისთვის (უძრავი ნივთები საკადასტრო კოდებით 01.19.17.003.088 , 01.19.17.003.087) მისამართების დაზუსტება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემობების გამოსაკვლევად და სამისამართო რეესტრში აღრიცხული მონაცემების სისწორის გადასამოწმებლად, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია მიმდინარე მდგომარეობით რა გეოგრაფიული გავრცელება აქვს შემდეგ ქუჩებს:

- ქალაქი თბილისი, გიორგი მუხაძის ქუჩა,
- ქალაქი თბილისი, კობა აბზიანიძის ქუჩა.

ამასთან, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ქუჩების სახელდების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე, ინფორმაცია, რა წარმოადგენდა მათ ყოფილ სახელწოდებებს.

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032106849**
თარიღი: **09/03/2021**
პინი: **2812**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას 2020 წლის 20 ოქტომბრის საქმე #04-0320294162-03 დაკავშირებით.
კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობა და მათ მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორიები და გამოგვიგზავნოთ კობა აბზიანიძისა და გიორგი მუხაძის ქუჩების სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი